ხუთშაბათი, 22 იანვარი 1904 წ. 1877 წელიწადი ოც. დამერვე 1904 ხუთშაბათი, 22 იანვარი 1904 წ.


ფასი ის ფასი:

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, . . | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, . . | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, . . | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, . . | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, . . | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, . . | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, . . | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, . . | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, . . | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, . . | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, . . | 1 ,, 50 ,, |


# ივერია

№ 16 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 16

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა:
1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

## რედაქციისაგან

გავახსენებთ იმ ჩვენს ხელის-მომწერთ, რომელთაც სრულად არ წარმოუდგენიათ წლიური ფასი გაზეთისა 1 თებერვლამდე წარმოადგინონ დანარჩენი ფულიცა, რადგან პირველი პრემია გაზეთისა—,,ღალატი'' უკვე მზად არის და 1 თებერვალს დაეგზავნებათ წლიურ ხელის მომწერთ.

## 1904 წელს

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია"

გამოვა იმავე სივრცით და სრულის პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა.

რედაქცია ყოველს ღონისძიებას იხმარს, რომ გაზეთი გააუმჯობესოს. იმ თანამშრომელთა გარდა, რომელნიც აქამდე მონაწილეობას იღებდნენ, რედაქციას სხვა ჩვენი მწერლებიც დაჰპირდნენ დახმარებასა და თანამშრომლობას.

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ **თუმანია**. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

1904 წლის ხელის-მომწერთ, რომელნიც სრულ ფასს შემოიტანენ 1 თებერვლამდე, დაურიგდებათ პრემიად გრაფ ლ. ნ. ტოლსტოის რომანი **„აღდგომა"** („Воскресеніе") და ალ. სუმბათაშვილის დრამა **„ღალატი"** (Измѣна). ეს უკანასკნელი წიგნი იბეჭდება, ავტორის სურათით, და ხელის მომწერთ იანვრის გასულს დაურიგდებათ.

**5** მანეთად ტფილისში და **7** მანეთად ტფილისს გარეშე

დაეთმობათ გაზეთი უპრემიოდ: სოფლის მასწავლებელთ, უფასო სამკითხველოებსა, უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეთ და ყველა ხელოსანს. ამათაც შეუძლიანთ ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანონ.

გაზ. ,,ივერიის'' **კონტორა** ყოველ დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდამ 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

რედაქციას ნება აქვს შეამოკლოს და შეასწოროს დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილი, არ დაბეჭდილ წერილების შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში**:—„ივერიის" რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა.

**ქუთაისში**:—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათომში**:—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ქელიძის წიგნის მაღაზიაში.

**საგურამოში**:—პეტრე მაჭავარიანთან.

**ზუგდიდში**:—პართენ ნასიძესთან.

**განჯაში**:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).

**გორში**:—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—10 კაპ. მთელი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

**საფოსტო ადრესი**: **Тифлисъ, Редакція „Иверія"**.

---

უგანათლებულესი თავადი სამეგრელოისა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა, რომ შაბათს, 24 იანვარს მარტვილის მონასტერში დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის მისის მამის

**უგანათლებულესის სამეგრელოს თავადის ნიკოლოზ დავითის ძის**

სულის მოსახსენებლად. (2—1)

---

როინაშვილისეული ფოტოგრაფია.

ამ წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებისა

## ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,

## იხარით ამიდე

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, მეცამეტე სურათი, მიეცემა **მუქთად** აკვარელით (ფერადებით) საუცხოვოდ დახატული.

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიის მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, ძნახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილ საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეთ ფოტოგრაფია დაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი ტარასა სიმონი მე მომცლმე.

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 22 იანვარს, 1904 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

I

## ზანუმა

კომ. 4 მოქმ. ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნებიერიძისა, ელ. ჩერქეზიშვილისა, ნ. ჯავახიშვილი. ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. ბაქრაძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **აკაკი**

კვირას 25 იანვარს ბენეფისი ქ. ჩერქეზიშვილისა.

---

ტფილისის სახაზინო თეატრი

**რუსული ოპერა**

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

**ხუთშაბათს, 22 იანვარს 1904 წ.**

წარმოდგენილი იქნება მეორედ

## ცინძორელი ნაძლიდეგი

ოპერა 4 მოქმ. მუს. ო. ნიკოლაისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: არციბაშევისა, კარტავინა, სელიუკი, ბ-ნნი: რაისკი, სელიავინი, გლადკოვი, შმაკოვი, რჟანოვი, ფედოროვი, გრინევი, გავრილოვი.

უფროსი რეჟისორი მ. ნ. ბოგოლიუბოვი.

კაპელმეისტერი ბ-ნი ზოზენი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ხვალ, პარასკევს, 23 იანვარს 1904 წ. ვ. ა. სელიავინის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება ,,ბაღდა'' ოპერა 4 მოქ. მუს. მონაზოშკოსი.

---

გამოვიდა და ისყიდება ,,წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების'' წიგნის მაღაზიაში

**ჩემი თავგადასავალი.**

აკაკისა

ფასი 1 მანათი.

---

ექიმი

## ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე.

ნიკოლოზის ქუჩა, № 46.

---

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა-დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**გ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

**ჟ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. ავეტისიანცი.** 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიული და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-თერაპია

**გ. ს. ლევი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროთერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ვ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**გ. ა. ნავასარდიანი.** 8½—8 ს.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟსა, აცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памяти. Воронцова.

წლ.

---

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.** კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე

**ლ. ი. კამოევი.** საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

**ნ. ტ. მუღინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

[illegible] შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ვ. დ. ლამბაშიძე.** შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროთერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**ბრ. ვ. სოგოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**ვ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

**საღამოთი:**

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

---

## ტფილისი

გუშინ ,,ღალატის'' სანახავად ვიყავით თეატრში. სამწუხაროდ, სუმბათიშვილის ,,ღალატი'' ვერა ვნახეთ, სამაგიეროდ ის-კი ვნახეთ, ჩვენმა არტისტებმა როგორ უღალატეს ,,ღალატს''.

როგორც გავიგეთ, ჩვენი სათეატრო დასი ამ სეზონში კიდევ წარმოადგენს თ-დ ა. სუმბათიშვილის პიესას, განსაკუთრებით აკაკის რეჟისორობით. როლები სულ სხვანაირად იქმნება განაწილებული და ითამაშებენ პიესას არა შერეულის, არამედ ,,ივერიის'' თარგმანით.

სამშაბათს, 20 იანვარს, საქართველოს ექსარხოსი ალექსი საღამოს მატარებლით ბაქოს გაემგზავრა. იქიდგან ჩქარა დაბრუნდება და შემდეგ, 30 იანვარს, ერევანში წაბრძანდება.

გუშინ ქართული დრამატიული დასი ტფილისიდან ქუთაისს გაემგზავრა. დღეს წარმოადგენენ იქ ,,ღალატს''.

როგორც შევიტყეთ, დ. კლდიაშვილს დაუწერია ერთ მოქმედებიანი პიესა.

კვირას დანიშნულია ქ-ნ ჩერქეზიშვილის ბენეფისი. აზრად აქვთ, წარმოადგინონ აკაკი წერეთლის ახალი პიესა ,,განთიადი''.

პირველ მარტიდან ბოტანიკურ ბაღში დაიწყება მიღება იმათი, ვისაც უნდა პრაქტიკული მუშაობა შეისწავლოს,

როგორც მკითხველთ უწყიან, ქუთაისის საკრედიტო საზოგადოების კასსის გამძარცველნი, რომელთაც დიდძალი ფული წაიღეს, შეპყრობილ იქმნენ. ქუთაისის გუბერნატორის გენერალ-მაიორის სმაგინის აზრით, ასე მალე დაჭერილ იქმნენ ბოროტმოქმედნი ქუთაისის მაზრის უფროსის თანაშემწის შტოტგაუერის განკარგულებითა და კოლ. რეგისტრატორის ყიფიანის სიმამაცისა გამო, ამიტომ გუბერნატორი მადლობას უცხადებს ამ ორთ და იმათ, ვინც შემწეობა აღმოუჩინეს მათ ბოროტმოქმედთა დაჭერაში.

ხვალ, 24 იანვარს, კრება ექმნება იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს წალკის წყლის ქალაქში გამოყვანის საკითხის განხილვა და გადაწყვეტა. კომისია ამ დღეს მოისმენს მოხსენებას ინჟენ. მეტცისას.

მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ ასესხა ტფილისის ბოტანიკურ ბაღს ფული. ამ ფულით უნდა ააგონ შენობა, რომელშიაც მოთავსებული იქნება ბოტანიკურ ბაღის სამკითხველო, ლაბორატორია და კაბინეტები. ფული მიწად-მოქმედების რწმუნებულის ბ-ნ მედვედევის განკარგულებაშია.

მიმდინარე წელს გაზაფხულს გაადიდებენ რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებლის შენობას, მომავალ სამოსწავლო წლიდგან გაიმართება პირველი პარალელი კლასი. [illegible] სწავლებლის პროგრამა ერთობ გააფართოვონ. ჩართულ იქმნება საზოგადო განათლების საგნები.

ამ ბოლოს დროს ტფილისში ერთობ გავრცელდა ყვავილი. ამიტომ საგუბერნიო მკურნალმა წინადადება მისცა სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებელს, გააძლიეროს ყვავილის წინააღმდეგ აცრაო.

ბათუმის პოლიცმეისტერი ლოვენი დაინიშნა ართვინის ოლქის უფროსის თანამდებობის აღმასრულებლად.

ტფილისის სამოსამართლო პალატის ბრალმდებლის ამხანაგი ბ-ნი ლემერმანი დანიშნულ იქმნა ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარედ.

ტფილისის სააქციონერო საზოგადოების მიერ შეკვეთილი ვაგონები საელექტრონო ფუნიკულერისა ბრიუსელში უკვე დაუმზადებიათ და, როგორც დეპეშით აცნობებენ, ჩქარა გამოჰგზავნიან ტფილისში.

დღეს, საღამოს რვა საათზედ, ქალაქის საბჭოს სადგომში დანიშნულია ხმოსანთა კერძო კრება ქალაქის გამგეობის წევრის თანამდებობაზედ კანდიდატის დასასახელებლად.

25 იანვარს, შუადღის 12 საათზედ, ვაჟთა პირველ გიმნაზიის სადგომში დანიშნულია საზოგადო კრება ტფილისის საგიმნასტიკო საზოგადოებისა. კრება, სხვათა შორის, განიხილავს ხარჯთ-აღრიცხვას 1904 წლისათვის.

დედათა საპროფესიო სასწავლებელს 1903 წლის პირველ იანვრიდგან 1904 წლის პირველ იანვრამდე წმინდა შემოსავალი ჰქონია 518 მან. 50 კაპ., აქედგან ქალაქის სასარგებლოდ გადაუდვიათ 259 მან. 28 კ., სახელოსნო სასწავლებლის სასარგებლოდ—129 მ. 76 კ., მოსწავლეთა სასარგებლოდ—129 მ. 46 კაპ.

კავკასიის რკინის გზის სამმართველოს საბჭომ უკანასკნელ კრებაზედ მსჯელობა იქონია ნაძალადევში რკინის გზის სასწავლებლის დაარსების შესახებ.

ტფილისში არსდება ბერძენთა საურთიერთო დამხმარებელი საზოგადოება. წესდება უკვე შეიმუშავეს და უმაღლეს მთავრობას წარუდგინეს დასამტკიცებლად.

მიწად-მოქმედების დეპარტამენტმა

[illegible]ჯერობამ ტარატინოვს გამოუგზავნა ბრინჯის თესლი. ამ ბრინჯს მომავალ გაზაფხულზე დასთესავენ ქუთაისისა, ერევნისა და ბათომის მიდამოებში. ბრინჯი საუკეთესოდ ხარობს ჭაობიან ადგილებში.

— ტფილისის საკრებულოს წევრთ წლიურ საზოგადო კრებაზედ დაამტკიცეს ანგარიში წარსულის წლისა და განიხილეს ხარჯთ-აღრიცხვა მიმდინარე წლისათვის. ვარაუდით შემოსავალი მიმდინარე წელს იქნება 42,924 მ., ხარჯი 42,905 მანეთი.

— ტფილისის ქალაქის გამგეობამ „გალენის“ ფირმის წარმომადგენლს შეუკვეთა ორი ფარანი, რომელიც 225 მანეთი დაჯდება. ეს ფარნები საცდელად უნდა დასდგას გამგეობამ.

— ხმოსან ქიუზარიანცსა და ქალაქის თვით-მმართველობას შორის დავა ასტყდა პატარა ადგილის გამო, რომელიც მდებარეობს რიყის ქუჩაზე, საკომერციო სასწავლებლის პირდაპირ. ეს ადგილი ბ-ნს ქიუზარიანცს თავისი ჰგონია და ზედ პატარა ფარდული დაუდგამს, გამგეობას-კი ქალაქის საკუთრებად მიაჩნია. ბ-ნმა ქიუზარიანცმა განცხადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში, ჩქარა განიხილეთ ეს საკითხი და, თუ რაიმე საბუთი გაქვთ, დროით შეიტანეთ საჩივარი, რომ საქმე გამოირკვესო.

— მეულავრიდგან ატყობინებენ „ახალ მიმოხილვა“-ს, მაზრის უფროსის თანაშემწე თავ. ჯანდიერი და ბოქაული ზაალიშვილი სამსახურის გამო თრიალეთისკენ მიდიოდნენ ფაიტონით, უცებ ცხენები დაფრთხნენ და გაიტაცეს ფაიტონი. ფაიტონი ჩქარა გადაბრუნებულა. თავ. ჯანდიერს ფეხები და გვერდი საშიშრად დაზიანებია, ზაალიშვილს-კი — თავი.

— კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ უკვე შეაგროვა კოლლექციები სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებისა და გუშინ, 21 იანვარს, გაგზავნა გამოფენაზედ ოდესის გზით.

— ხუთშაბათს, 22 იანვარს, საღამოს 7 საათზე დანიშნულია კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება, რომელიც განიხილავს:

1) მიმდინარე საქმეებს (კოლლექციას, რომელსაც საზოგადოება გზავნის ს.-ლუის გამოფენაზე).
2) კომისიის მოხსენებას ღვინის ფალსიფიკაციის [illegible].
3) ბ. ქალანთარის მოხსენებას [illegible] შესახებ და სხვ.

წევრთაც შეუძლიანთ დაესწრონ.

# ჩვენებური ამბები

მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორს, რომელმაც ქ. სუხუმს შესწირა 100,000 მან. საავადმყოფოს დასაარსებლად, კვალად გადუდვია დიდი თანხა მშობიარეთა თავშესაფარისა და ორის სანატორიის დასაარსებლად.

—

**კახეთი.** შარშან, ის იყო, ყმაწვილები საშობაოდ დავითხოვე და სახლში გავემგზავრე დილიჟნით. ჩვენთან ერთად თელავისკენ მიემგზავრებოდნენ ორი ქალი. პირველ ხანს, ვიდრე ჩვენ ერთმანეთს გავიცნობდით, გაჩუმებულნი ვისხედით და ტუჩი ტუჩს გვქონდა მიწებებული, გვართობდა დილიჟნის გრიალი და მეეტლის შოლტის შხაპა-შხუპით მივდიოდით ჩქარა. ამინდი მშვენიერი იდგა; მთელი კახეთის ველი — მინდორი მთლად სარკესავით სჩანდა. ლურჯად მობიბინე მინდვრები კაცს მთელს ყურადღებას სტაცებდა. კავკასიის მთა-გრეხილიც მოწმენდილი იყო, არც ნისლი, არც ღრუბელი მის ბუმბერაზ წვერთებს თავს არ ჰქონდა შემოხვეული. მხოლოდ ერთად-ერთს მდ. ალაზნის თავიდან ბოლომდე ნისლი დასწოლოდა, რომელიც შორიდან გძლად, თეთრ ზოლივით მოსჩანდა. ეს საამურად გაწოლილი მდ. ალაზნის ნისლის თეთრი ზოლი, რაიც ხშირი სტუმარია ალაზნისა ზამთრობით, ამ მოწმენდილს მიდამოს კახეთისას აშვენებდა, მეტს სიამოვნების ელფერსა ჰგვრიდა. გაქანებულ დილიჟნიდან ამ საამურ ველ-მინდორის დანახვა კაცს სიამოვნებას ჰგვრიდა, გულს უმშვიდებდა.

მეეტლე ცხენებს ხმაურობას არ აკლებდა.. კარგა გზა რომ გავიარეთ, მაშინღა გავბედეთ ჩვენ, თანამგზავრებმა, ერთმანეთთან გამოლაპარაკება.

— სადაური ბრძანდებით, დედა? ვკითხე დედაკაცს, რომელიც ჩემს პირდაპირ სკამზე იჯდა.

— მე შვილო, გორის მაზრიდან გახლავარ, აქ საცხენის სკოლაში (სოფ. ყვარელშია) ჩემი შვილი სწავლობს. ხომ მოგეხსენებათ დედის გული როგორია, ავად-მყოფიაბა გავიგე, გულმა არ მომითმინა, წამოვედი და ჩემის თვალით ვნახევი ჩემი შვილი, ღვთის ძალით კარგათ დამიხვდა და კარგათაც უსწავლია.

მეორე ჩვენს თანამგზავრს ქალს (რუსი იყო) ჩვენი ლაპარაკი არ ესმოდა, იყო გაჩუმებული და მხოლოდ იქით-აქეთ მიდამოს და ცის კიდეს თვალს ავლებდა.

გულმა არ მომითმინა, მეინტერესებოდა გამეგო, თუ ეს მესამე ჩვენი თანამგზავრი ვინ იყო, დრო შევარჩიე და დავუწყე საუბარი.

— მე სოფლის მასწავლებელი გახლავარ, — მიპასუხა ქალმა ჩემს შეკითხვაზე.

— დიდი ხანია, რაც ამ საქმეს მოჰკიდებით ხელი?

— არა, სულ ერთი წელიწადია.

— როგორ მოგწონთ, ან როგორ გამოსცადეთ სოფლის მასწავლებლობა და ცხოვრება.

— მაგას ნუღარ მეტყვი; წინად ვიდრე მასწავლებლობას დავიწყებდი, ამ საქმეს მე სიამოვნებით ვუცქეროდი, ეხლა კი, როდესაც გამოვსცადევი, ამ ცოტა ხნის მასწავლებლობაშიაც, სიცოცხლე ნელ-ნელა მეწამლება.

— როგორ, განა ისე მოსაბეზრებელია მასწავლებლობა, განა ისე ჩქარა მოსაწყენია სამსახური გონებით ბნელ ხალხისა, სასიამოვნო არ არის აღუზარდო მას შვილები, გონებრივად და ზნეობრივად, და გაწვრთნილებულს მიჰხედო?

— მე ყველაფერში გეთანხმებით და მრწამს კიდეც, რომ ყველა ის, ვისაც გულში ღრმათ აქვს გამჯდარი წმინდა მოვალეობა მასწავლებლისა სოფლად, სწორედ ის შეასრულებს ხსენებულს მოვალეობას. მაგრამ ამ მოვალეობის აღსასრულებლად მასწავლებელს ბევრი დაბრკოლება ეღობება წინ.

— მე ბუნებით რუსი გახლავარ. პირველად, როდესაც აქეთ, კახეთში, გამამწესეს მასწავლებლად, მაშინ მე ქართული ლაპარაკის არა გამეგებოდარა, რადგან მე ჩემს გაზრდაში ქართველთა ოჯახს არ მოვხვედრივარ, ასე რომ ქართულ ლაპარაკისა ერთი სიტყვაც არ ვიცოდი; მაგრამ ეხლა მე თვით ჩემმა საქმემ (მასწავლებლობამ) მაიძულა, ასეთს პირობებში ჩამაყენა, რომ ქართული ჯერ-ჯერობით, თუ სულ არა, ცოტა მაინც უნდა მესწავლა.

— მაინც რამ გაიძულათ, რომ უეჭველად ქართული ლაპარაკი ცოტა მაინც უნდა გესწავლათ, ვკითხევი მე.

— აკი მოგახსენეთ ჩემმა სამსახურმა. მოგეხსენებათ, რომ სოფლის სკოლებში სწავლა მხოლოთ მუნჯურის მეთოდით არის ისევე იმ სკოლაში, სადაც ეხლა მე ვმსახურობ, ვიდრე მე გამომამწესებდნენ, მუნჯურის მეთოდით უკვე დაწყობილიყო, და როდესაც მეც შევუდექი ამ სკოლაში ყმაწვილების სწავლებას, ვფიქრობდი: მუნჯურის მეთოდით ყმაწვილებს უფრო ჩქარა და ბევრს გასწავლი, რადგან მეტი დრო აღარ დამეხარჯება, ყმაწვილებს უცნობ სიტყვას ქართულად ავუხსნი მეთქი. ვიდრე საქმეს შევუდგებოდი, ყველა ფერი ადვილი მეგონა, მაგრამ შემდეგ-კი, როდესაც პირდაპირ ყმაწვილებთან მქონდა საქმე ამ მეთოდით, მაშინ-კი თავი ძლიან უხერხულ მდგომარეობაში ვიგრძენ. კლასში მე ბევრს ვლაპარაკობდი, ბევრს ვევიროდი. ყმაწვილებიც ხშირად ყურს არ მიგდებდნენ. დრო მიდიოდა და საქმე-კი არა კეთდებოდარა. ყველაფერს რუსულად ვუხსნიდი, ყველაფერზე რუსულად ვუჩვენებდი, მხოლოთ იმისთვის, რომ სიტყვების აზრი და მნიშვნელობა რუსულად ცოდნოდათ, მაგრამ მე ამ მუნჯურის მეთოდით რუსული სიტყვები ვერ შევასწავლე, პირ იქით იყო მასწავლეს ცოტა ცოტა ქართული ლაპარაკი

მე მწარედ გამეცინა.

ბოლოს მითი გაათავა თავის ლაპარაკი ჩემმა მოსაუბრემ, მასწავლებელმა ქალმა, რომ შემდეგ თუ რომელიმე რუსული სიტყვა გაკვეთილის დროს უნდა აუხსნას ყმაწვილებს, ჯერ ქართულად ისწავლის და მერე რუსულად გადასცემს, და დაუმატა: მუნჯურის მეთოდით სწავლება, როგორც გამოცდილებამ მაჩვენა, არამც თუ ქართულის მცოდნე ყმაწვილებისათვის არის ძნელი, არამედ თვით რუსულის მცოდნე ყმაწვილებისთვისაც ძნელია.

— სრული ჭეშმარიტებაა დაუმატე, თუ მასწავლებელს უნდა, რომ ყმაწვილმა მის ხელში ვერა შეიგნოს რა, მასწავლე გამოურკვეველს, გაუგებარი იყოს მისთვის და ჩქარა დაავიწყდეს, სწორედ მუნჯურ მეთოდია მისი მიდამო მეთქი.

— სწორედ უბედურებაა ეს მეთოდი, რომელიც როგორც მასწავლებელს, ისე განსაკუთრებით, მოზარდ თაობას ამახინჯებსო.

კოტე ალაზნისპირელი.

# კავკასია

დიდიხანია ბაქოს ნავთის მწარმოებლები წუწუნებენ, დიდი ზარალი გვაქვსო და მილიონერები თუ მილიარდერები მთავრობას შესტირიან რკინის გზისა და ნავთ-მილის გარდასახადი შეამცირე, თორემ ვიღუპებითო. როგორ იღუპებიან ეს საბრალო და საწყალი მილიონერები — ჩვენის თვალით კარგა ვხედავთ. ორიოდე მწარმოებელს ვიცნობთ კიდეც, ვიცით, რითი და როგორ დაიწყეს საქმე და ეხლა რა დღეში არიან. მთავრობას სჯეროდა მათი წუწუნი და, როგორაც-კი შეიძლებოდა, დახმარებას უწევდა და შეღავათს აძლევდა. მაგრამ ამას არ დასჯერდნენ და, რაც სინდიკატები მოიგონეს იმ განზრახვით, რომ მთლად ნავთის საქმე ხელთ იგდონ, წვრილი მწარმოებლები დაღუპონ და თავისი სურვილი დააკანონონ, — მას შემდეგ უფრო თამამად მოქმედობენ შეერთებულის ძალით და ნავთის წარმოება თავის მონოპოლიად მიაჩნიათ. მას შემდეგ ნავთის საქმე უფრო უკუღმართად მოეწყო სახელმწიფოსა და ხალხისათვის. ჩვენი ნავთი არამც თუ რუსეთის შიდა გუბერნიებში და კავკასიაში არამედ ჩვენშიაც, ამიერკავკასიის რკინის გზის გასწვრივაც უფრო ძვირია, ვიდრე საზღვარ გარედ, ევროპაში. მართალია, საშინაო სახმარებელ ნავთს მეტი ბაჟი აძევს ხაზინისა, მაგრამ ეს ბაჟსაც რომ გამოვაკლოთ, მაინც შინ უფრო ძვირია ნავთი, ვიდრე გარედ. არ შეიძლებოდა ამ გარემოებისათვის მთავრობას ყურადღება არ მიექცია და ცოტაოდნად მაინც არ ჩარეულიყო ამ საქმის მოწყობ-რიგებაში. მთავრობამ განიზრახა მცირედ აეწია ამიერ რკინის გზის გარდასახადი ბაქოდან ბათომამდე. ფინანსთა სამინისტროს გამოანგარიშებით, ორი შაური რომ მოემატოს ფუთზე, ე. ი. ნავთის ტარიფი რკინის გზის საერთო ტარიფს რომ გაუთანაბრდეს, ხაზინა 6—7 მილიონ მანეთს მეტს აიღებს. ამ განზრახულებას, როგორც რუსული გაზეთები იუწყებიან, შეერთებულის ძალით, მედგრად წინ აღუდგნენ ნავთის მეფენი: ნობელი, როტშილდი და მანთაშევი, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ, თუ ნავთის გარდასახადი მცირეოდნად წაემატა, მაშინ მთლად საქმე შეფერხდება, რადგან გატანა საზღვარ გარედ შეუძლებელი შეიქმნება. ამერიკის ნავთი დაიჭერს იქ ბაქოს ნავთის ადგილსა და ვაი თუ ხაზინამ ისიც დაჰკარგოს, რასაც დღეს იღებსო. მთავრობის გამოკვლევით, ეს შიში უსაფუძვლო გამოდგა, რადგან ევროპაში ამერიკის ნავთი შედარებით ნაკლებად მიდის და ბაქოს ნავთზე უფრო ძვირად იყიდება. ევროპას ისეთი დიდძალი ნავთი სჭირდება, რომ ამერიკას არ შეუძლიან დააკმაყოფილოს მისი მოთხოვნილება და ძალაუნებურად ბაქოს ნავთი უნდა დაიჭიროს. პირველ ხანს რამდენისამე მილიონით [illegible]ლებიც რომ გავიდეს ბაქოს ნავთი ევროპაში, ხაზინას მაინც 5—6 მილიონი მანეთი შეებატება. რა თქმა უნდა, ნავთის მეფენი ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ, რომ თავისი გაეტანათ, მაგრამ ამ ჟამად ბედმა უმუხთლა. გუშინ გაზეთ „კავკაზ“-ის დეპეშა მოსულია პეტერბურგიდგან, რომ მთავრობას ტარიფისათვის ½ კ. წაუმატებია ფუთზე.

# რუსეთი

პეტერბურგის სამხედროებსა და ფლოტის საკრებულოს დარბაზში 1[illegible] იანვარს [illegible]

# ფელეტონი

## სატუსაღოში

(ეტიუდი)

— ჩემი ცოდვა ჰქონდეს, ვინც მე ამ [illegible]ში ჩამაგდო, ვინც ასე დამტანჯა, [illegible] წამიმწარა. მაცხოვარო, შენ [illegible] მას მაგიერი მწუხარება, სინიდისის [illegible]ნჯნა, მწარე ცხოვრება!..

ასე ლოცულობდა შობა დილას სატუსაღოს ეკლესიაში მაცხოვრის ხატის წინ დაჩოქილი ერთი ხანში შესული დედაკაცი. ეტყობოდა, რაღაც დიდად დასჯილი, შეტყუებული, თავ-მოყვარეობა შელახული ადამიანი უნდა ყოფილიყო. იდგა — თავის ბედის წერას სწყევლიდა, დაილოცებოდა — მაინც წყევლა-კრულვით იხსენიებდა ვიღაცას. ცნობის მოყვარეობამ გამიტაცა და მისკენ ახლოს მივიწიე, რომ მისის სიტყვებიდგან შემეტყო, რა აწუხებდა, რას დაეტანჯა ეს საბრალო ადამიანი?!

ქრისტეს შობის დღესასწაული იყო. ყველა ახალ-ახალ ტანისამოსში გამოწყობილიყო და ყველას სახეზე რაღაც სიმხიარულის ღიმილი იხატებოდა. დღევანდელ საიდუმლო სიხარულს ყველა გამოეცვალა, თავისი ერთფერი მიეცა. სატუსაღოს ეკლესია თუმცა მარტო ტუსაღებით იყო სავსე, მაგრამ დღეს ამ ბედკრულ ადამიანებსაც-კი ეტყობოდათ რაღაც, ნათლის გაუგებარი სადღესასწაულო სიხარული, [illegible]ის ცვლა, გამამხნევებელი იმედები. იმათ დამწუხარებულ სახეს დღეს მხიარულების სხივი მოჰფენოდა. განუწყვეტელ [illegible] ტანჯვებს, ოხვრა-კვნესას — მხურვალე ლოცვებით იქარვებ-იმსუბუქებდნენ. დღეს პირველად ვიყავი ამ ეკლესიაში და მთელი ჩემი გონება პატიმართ მდგომარეობამ მიიპყრო,

ვინ იცის, ვინ იმათგანი რა დამნაშავეა საზოგადოების წინაშე, — ვიფიქრე ჩემთვის. ვინ გასჯის მათ სიმართლე სინდის[illegible] ისე, როგორც მათივე სინიდისის მხილება, ფარული სულიერი ბრძოლა და გულ-ახდილად ღვთისადმი აღვლენილი ლოცვა. ვინ იცის ადამიანს რომ თავისივე მსგავსი არსების გაუტანლობა არ აშინებდეს, მის სისასტიკეს არ ერიდებოდეს, იმასაც ასე გულ ახდილად არ ეტყოდა თავის შეცდომებს უკუღმა სიარულის მიზეზებს. მაგრამ ყველამ ვიცით, რომ ადამიანი ყველგან ადამიანია, და სამწუხაროც ეს არის...

შავმა ფიქრებმა შორს გამიტაცა. წირვა კიდევაც გათავებულიყო. ეკლესიიდგან გამოდიოდნენ, რომ უკვე ჩემის ბიძაშვილის ხმა მომესმა:

— თედო, თუ ძმა ხარ, დღეს სადილად ჩემთან დარჩი! კაი ხანს გაშტერებული სდევერებოდი, მაგიერი პასუხი არ მიმიცია.

— დიდის სიამოვნებით, ჩემო კოტე! დღეს მე მაინც ვაპირებდი შენთან დარჩენას, ვუპასუხე — თუმცა-კი ცოტა გვიან.

— შენ ხომ ფილოსოფოსობას თავს არ დაანებებ?! გეტყობა, რომ ოცნებას გაუტაცნიხარ, ჩემო თედო ოცნებას.:.

— როგორ? ნუ თუ მატყობ რასმე?!

— გეტყვი, აი, შინ მივიდეთ და ყველაფერს გიამბობ, — ვუთხარი და ბინისაკენ წავედით ორივენი.

ჩემი ბიძაშვილი სულ ორი წელი, ადია, რაც სატუსაღოს ზედამხედველად გაამწესეს. თუმცა პოლიციაში კაი ხნის ნამსახური იყო, მაგრამ კეთილ-შობილური მისწრაფებანი, დაბადებიდგანვე თან დაყოლილი გულკეთილობა და გონიერი, ღვთიურის სიყვარულით შემკული მისი ბუნება — სამსახურს ვერ შეემუსრა — ვერ შეებღალა და ტუსაღები დიდ პატივსა სცემდნენ, ნამდვილ „მამას“ უწოდებდნენ. ზედამხედველის ბინა იქვე სატუსაღოს ეზოში იყო. ეკლესიიდგან მის ბინამდის სულ რამდენიმე საჟენი თუ იქნებოდა. ჩვენ მუსაიფით შეუმჩნევლად გავიარეთ ეს მცირე მანძილი და ცოტა ხნის შემდეგ კოტეს სადარბაზო ოთახში ვიყავით.

— აბა, აბა! მითხარ, რამ დაგაფიქრა დღეს ეკლესიაში? — მკითხა კოტემ.

— დიდის სიამოვნებით, მხოლოდ ეს მითხარი: შეგიძლია თუ არა ტუსაღის აქ მოყვანა და საქმის გამოკითხვა?!

— შემიძლია, თუ ტუსაღს განსაკუთრებითი სასჯელი არა აქვს გადაწყვეტილი.

— დღეს ეკლესიაში ერთი ქალი იყო, მარცხნივ, მაცხოვრის ხატის წინ იდგა...

— ვიცი, გამაწყვეტინა კოტემ, ელისაბედ თოხაძისა. ის ნამდვილ მიიქცევდა შენს ყურადღებას.

— რანაირად, შენ რა იცი?!

— ვიცი; ის ქალი უცნაური საქმის ჩამდენია.

— აი, სწორედ ეს არის მიზეზიც, რომ მე დღეს ასე დაფიქრებული და ოცნებით გატაცებული მოგეჩვენეთ... სწორედ ამ ქალმა შეიპყრო დღეს ჩემი ცნობის მოყვარეობა და მსურს გავიგო, ვინ არის, ან რას დაუტანჯავს ისე მწარედ, ისე ულმობლად, რომ სწუხს და გულს იტკენს.

— დიდის სიამოვნებით, მხოლოდ ჯერ ვისადილოთ; ნასადილევს თვითონ მოგიყვან, პირადათ გაგაცნობ და, რაც გნდა გამოჰკითხე. — მითხრა ესა და სადილის მზადებას შეუდგა.

ნაშუადღევის სამი საათი იქნებოდა, გაშლილ სუფრას ვუჯექით და შევექცეოდით, მაგრამ ჩემი გულის სიღრმიდგან იმ ქალის სახე მაინც არ ამოდიოდა, სულ ის მახსოვდა, მისი ტანჯული პირისახე თვალწინ მიდგა და ყველაფერს მეუბნებოდა. სადილი კაი ხანს გაგრძელდა. ახალი შებინდებული იყო, რომ კოტეს ოთახში ტუსაღი ელისაბედ თოხაძის ქალი შემოიყვანეს.

— დიდი ხანია, რაც ამ სატუსაღოში იმყოფები?! — ვკითხე მორიდებით.

— წელიწადი იქნება.

— კიდევ დიდხანს უნდა დარჩე?

— ნახევარ წელიწადს.

— ქმრიანი ხარ, თუ გასათხოვარი?

— ქმრიანი გახლავართ.

— მერე, რამ მოგიყვანა ამ სატუსაღოში?

— ჩემმა დამწვარმა ბედმა.

— რანაირად?

— მე არ ვიცი.

— უფალმა გაცოდინება, რისთვის დაგსაჯეს ასე?

— მე-კი ვიცი, მაგრამ თქვენთვის რა საჭიროა მისი ცოდნა. ნეტა მეც არ გამახსენა... მისი გახსენება ჩემთვის ჯოჯოხეთის ტანჯვებია. თუ ღმერთი გწამთ, წარსულ ტკივილებს ნუღარ გამიხსენებთ, რაც ვიტანჯე, მაკმარე, ნუღა მაწვალებთ. მითხრა და თვალის წამწამებში ცხარე ცრემლები მარგალიტის მგზავსად აქა იქ დაეკიდა და ლაჟის ლოყებზე ღაპა-ღუპით უნდა წამოსულიყვნენ. შევნიშნე ცრემლი და მებრალებით ვუთხარი — გთხოვთ თქვენი ამბავი მითხრათ! თუ ეს თქვენთვის ასე სამწუხარო და საძნელოა, თავისუფალი ბრძანდებოდეთ. მე თქვენ შესაწყალებლად არ მოვსულვარ; მე დღეს ეკლესიაში გნახე, ჩემი ყურადღება თქვენმა ლოცვამ მიიქცია და თქვენი გაცნობის სურვილიც სწორედ, აი დღესვე დამებადა. თუ პატივს მცემთ და მიამბობთ ყველაფერს, ხომ კაი და თუ არა, მშვიდობით ბრძანდებოდეთ, — ვუთხარი და გამოთხოვება დავიწყე. ქალმა მორცხვად თავი ძირს ჩაჰკიდა და წყნარის ხმით მიპასუხა

— მოგახსენებთ, თუმცა კი ჩემი ცხოვრების ისტორია ცოტა შორიდგან უნდა დავიწყო... უბედურ მთვარეზე დავიბადე, უბედურად აღვიზარდე და უბედურადვე მიდის დღეს ჩემი ცხოვრებაც, — დაიწყო ელისაბედმა თავისი თავ-გადასავალი და სახე შეეცვალა. — ჯერ სულ ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ქალი ვიყავი, რომ ბევრ ყმაწვილ კაცს ეჭირა ჩემზე თვალი, სურდა ჩემი დაპატრონება, მაგრამ შორს ვიჭერდი საქმეს. ვინც მე მომწონდა, მე მას არ მოვწონდი და ვისაც მე მოვწონდი, ის მე არ მომწონდა. კაი ხანს დავრჩი ასე. ბოლოს ერთი ყმაწვილის სილამაზემ გამიტაცა, და მივსთხოვდი თუმცა კი სილამაზის მეტი არა ებადა რაა. იმ ხანში ყოფილ ქალებს რომ [illegible] თვალებში აქვთ, მეც თვალებით გადა[illegible]წყვიტე ჩემი ბედიღბლობა. დიახ, მომეწონა. დავუახლოვდი. სიტყვა მივეცი და ცოლად წავყევი. ერთი ხანს კარგად მიდიოდა ჩვენი ცხოვრება; შემდეგ [illegible] დღითი დღე გვეპარებოდა [illegible]. ჩემს ქმარს სამსახურში შესვლა არ შეეძლო, გიმნაზიის მეორე კლასიდგან დათხოვნილი გახლდათ. უმამულოდ არც სოფელში შეიძლებოდა ცხოვრება და არც ქალაქში. ჩემი პირმშო ქალიშვილი სკოლის ასაკში მოდიოდა და ჩვენ-კი სულ უბრალო საშუალება არ გვქონდა, რომ ვისთვისმე მიგვებარებია. მე თუმც პატარაობიდგანვე ვიყავი შეჩვეული სიღარიბეს, მაგრამ ქმრის ხელში უფრო ვიტანჯებოდი. უარარაობა ილაჯს მიწყვეტდა. ჩემი ქმარი ლამაზი, კოხტა და თავ-მოყვარე თავადი იყო. სოფლის მამულის თავდანებება ძლიერ აწუხებდა და ყოველ გვარ საშუალებას ეძებდა, რამეფრად შინაურულად გაყიდული მამულები გლეხებისათვის ჩამოერთმია, ან ხელახლავ მიეყიდნა... რამდენსამე გლეხს კიდევაც ჩამოართვა, რადგან შინაური ნასყიდობა კანონმა არ შეიწყნარა. გათამამდა ჩემი ქმარი. მამა-პაპისაგან გაყიდული მამულების უკანვე დაბრუნება მოინდომა. სოფელი ჩვენს მამულში იდგა, შევიწროვდა სოფელი. აჯანყდნენ და ჩემი ქმარი აღელვებულ ხალხის მსხვერპლი შეიქნა. დილით გაცივებული მისი გვამი კარზე მომაყენეს... ჩემს მწუხარებას ენით ვერ აგიწერთ. ადგილ-მამული გაფანტული, ქმარი მკვდარი და შვიდი-რვა წლის ქალი აღსაზრდელი, ჩემს ამარა დაგდებული. ვის არ შეაწუხებდა ასეთი ყოფა?! სამიწელიწადი ჩემი ქმრის აწეწილ საქმეების გამოწყობას შევსწირე, მაგრამ ბოლოს მოვალეებმა ყველაფერი საჯარო ვაჭრობით გამიყიდეს. სოფელში დასადგომი პირი მაინც აღარ მქონდა — ისევ ქალაქს მივატანე. ხანში შესული მდიდარი მეიჯარადრე გავიცანი. თვალებს აღარაფერს არ ვუჯერებდი, ახლა ყველაფერს გონე-

ქართული საცეკვაო საღამო ყოფილა გამართული უგანათლებულესის ე. ა. გრუზინსკის მეთაურობით, პეტერბურგში მცხოვრებ ღარიბ ქართველთა სასარგებლოდ. ეს საღამო იმისთვის ამოურჩევიათ, რომ ქართველებს შესაფერად ემხიარულნათ ქართველთა განმანათლებლის წმ. ნინოს დღესასწაული, რომელიც მეორე დღეს იყო. ღამის 11 საათზე სტუმრებმა დაიწყეს მოსვლა. საღამოს მეთავე ქ. გრუზინსკისა ეგებებოდა სტუმრებს. თვითავდარიგედ იყვნენ თავ. მაჩაბელი და გედევანიშვილი. დარბაზის შესავალში ქართველი სტუდენტები უხვდებოდნენ სტუმრებს. აქეთ-იქით კედლებთან გაჩაღებულ დარბაზში კიოსკები იყო გამართული შამპანიისა, ყვავილებისა და ხილეულისა, სადაც მასპინძლობდნენ მაღალ საზოგადოების ქალები. როგორც რუსული გაზეთები იუწყებიან, საღამომ ძალიან მხიარულად და ბუნებრივად ჩაიარა.

— მოსკოვის ვაჭართა საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა არის იმის გამო, რომ მემკვიდრეს განსვენებულ პეტრე სმირნოვისას, რომლის არყის ქარხანა განთქმულია მთელს რუსეთში, ფლანგვა დაუწყია თავის ქონებისა და აპეკა დაუნიშნეს.

— მოსკოვში გარდაცვლილა მილიონერი პ. მაკაროვი, რომელსაც ანდერძით მთელი თავისი ქონება კეთილ საქმეებისათვის გადუდვია.

— პეტერბურგის ქალაქის თვითმართველობას შეუმუშავებია და ამ დღეებში წარუდგენს შინაგან საქმეთა სამინისტროს დასამტკიცებლად მომავალის წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვას. შემოსავალს მოელიან 30,228,000 მანეთამდე (წარსული წლის შემოსავალს 956,000 მანეთით აღემატება) და გასავალს 29,900,000 მანეთს (1,400,000 მანეთით მეტი წინა წლის გასავალზე). დარჩება თავისუფალი თანხა 318,000 მ. უმთავრესი წყარო შემოსავლისა მოქალაქეთა მამულებია, თვით ქალაქის მამულები და სამრეწველოები და სავაჭროები ა და სამრეწველოების გადასახადი. უმთავრესი ხარჯი: ქალაქის გალამაზება და მოწესრიგება 9,578,000 მ., ქალაქის მამულებისა და სამრეწველოების მოვლა 6,281,000 მ., საექიმო და სასანიტარო ნაწილი 3,295,000 მ., სახალხო განათლება 1,759,000 მ., მართებლობის დაწესებულებათა შენახვა და დახმარება 1,732,000 მან., ქალაქის სამმართველო 1,345,000 მანათი, ღარიბთა დახმარება 718,000 მ., ცეცხლის მქრობელთა რაზმი 613,000 მანათი და პოლიციის შენახვა 238 000 მ.

## უცხოეთი

**ინგლისი.** სამინისტრო კვლავ ირყევა, რადგან მთავარ მინისტრი ბალფური ყოყმანობს: ვერც ჩემბერლენის სადამოჟნო პოლიტიკასა და ვერც მის მოწინააღმდეგეთ ვერ მიმხრობია. გამოაცხადა, პროტექციონისტი ვარ, ხოლო ჩემბერლენს-კი არ ვეთანხმებიო და არჩევნების დროს-კი თავის საარჩევნო უბნის კენჭი სულ ჩემბერლენს დაუთმო. მეფე ედუარდს ჩემბერლენის აგიტაცია მთავრობის წინააღმდეგ სწყინს და ბალფურისათვის სამდურავიც გამოუცხადებია, რატომ ჩემბერლენის ფინანსიურ პოლიტიკას ხელს რად უწყობო. ბალფურის კაბინეტის სამს წევრს: გარეშე საქმეთა მინისტრს ლანსდოუნს, საიდუმლო რჩევის თავმჯდომარეს ლორდ ლონდონდერისა და ვაჭრობის მინისტრს ჯერალდ ბალფურს გადაუწყვეტიათ, თანამდებობას თავი დაანებონ. როდესაც ესე შერყეულია სამინისტრო, საფიქრებელია, რომ სამინისტრო ხრულიად შეიცვლება.

**იაპონია.** მომხრეები თანდათან ეცლება იაპონიას. ინგლისის პარლამენტის დეპუტატთა უმრავლესობა და მეტადრე ლიბერალები ომის წინააღმდეგნი არიან. ჩემბერლენიც-კი იმ აზრისაა, რომ ინგლისი რუსეთსა და საფრანგეთს უნდა დაუახლოვდეს და დაუმეგობრდეს. გერმანიის პარლამენტს ხომ ომის გაგონებაც არ უნდა. ამას წინად აფრიკის კოლონიების აჯანყების ამბავი რომ მოისმინა პარლამენტმა და მთავრობის წინადადება უნდა განეხილა აჯანყებულთა დასამარცხებლად კრედიტის გადადების შესახებ, სოციალ-დემოკრატებმა პარლამენტის დადგენილებაში მონაწილეობა არ მიიღეს, გერმანიისათვის საჭირო არ არის ეგ კოლონიები და ხარჯიც ტყუილად ვიღებთო. ამომრჩევლებმა და მყვირლობამ სოციალ-დემოკრატთა დეპუტატებს ყვედრება დაუწყო, რატომ თავი არ გამოიდეთ და მთავრობის წინადადებას წინააღმდეგობა არ გაუწიეთ, მარტო თავის შეკავებით რა გარიგდებოდაო. როდესაც ხალხი და მისი წარმომადგენლები ამისთანა აზრს ადგანან, რა მოსაფიქრებელია, რომ გერმანიამ შემწეობა რამე მისცეს იაპონიას ომიანობის დროს.

ჩინეთის იმედიც არ უნდა ჰქონდეს იაპონიასაო, ამბობენ რუსული გაზეთები, რადგან ჩინეთი მხოლოდ იმასა სცდილობს, მშვიდობიანობა არ დაირღვესო.

**ევროპა.** ფაუმში მიწიდგან ამოუთხრიათ ფრიად მრავალი და დიდად საყურადღებო პაპირუსები, რომლებზედაც სწერია არისტოტელის მიერ ათინელებისათვის შედგენილი კონსტიტუცია, ლექსები პინდარის მოწინააღმდეგე პოეტის კორინნისა, რამდენიმე ახალი კარი ტიტ-ლივის ისტორიისა და სხვა.

**თიბეთი.** დიდი არეულობაა თურმე თიბეთში ინგლისის ექსპედიციის წინააღმდეგ, რადგან მთავარ-ქურუმს, ღვთაების მოადგილეს დალაი-ლამას წყევლა-კრულვა წარმოუთქვამს. თიბეთელები აღარ ეკარებიან ინგლისელებს და სურსათსაც აღარ აძლევენო. საქონელსაც-კი არ აქირავებენ, რომ ექსპედიცია ან წინ წავიდეს ან უკან დაბრუნდესო.

## თეატრი და ხელოვნება

### ქართული თეატრი

დიდის მომზადების შემდეგ, სამშაბათს 20-ს იანვარს ძლივს ვიხილეთ ქართულ სცენაზედ თ. სუმბათიშვილის დრამა «ღალატი»—პიესა, რომელმაც უკვე ყველა დიდის ქალაქის სცენები მოიარა და ყველგან აღტაცება გამოიწვია.

საუბედუროდ, ეგევე არ ყოფილა სამშაბათის წარმოდგენაზედ. აღტაცებას ვინ ჩივის, მოლოდინის მცირე გამართლებაც ვერ მოახერხეს ჩვენმა არტისტებმა და ეს მით უფრო საწყენია, რომ „ღალატი" ჩვენს სცენაზედ შეიძლება მართლა კარგად იყოს წარმოდგენილი, იმიტომ რომ საჭირო ძალა ჩვენს სცენას მოეპოვება. ესეც კი უნდა სთქვას კაცმა: არა-ჩვეულებრივი იყო პსიხოლოგიური მდგომარეობა როგორც მსახიობთ, ისე საზოგადოებისაც, რომელმაც ისე აავსო სახელმწიფო თეატრის დარბაზი, რომ ნემსი არსად დაეტევოდა.

„ღალატი" დღეს თითქმის დღიურ ვარმად, დღიურ საკითხად გადაიქცა. ნიჭიერი ნაწარმოები ნიჭიერის დრამატურგისა, რომლის კაცობრიული დედა-აზრი ერთნაირად ხვდება კაცს გულში, რა ტომისაც უნდა იყოს იგი, ერთნაირად ესალბუნება ყოველ ადამიანის კანონიერ წყურვილს თავისუფლებისას, შეულახველის ადამიანურ ღირსებისას, წყურვილს ლაღის, დაუჩაგვრელის სიცოცხლისას, ეს ნაწარმოები დღეს აღტაცების წყაროდ გამხდარა. ამ პიესაზედ არა ერთს ნიჭიერს მსახიობს გაუმინჯავს თავისი ღონე, მაგრამ მაინც ქართველ მსახიობისაგან, საფუძვლიანადაც, სულ სხვას ელოდა საზოგადოება. ჩვენმა არტისტებმა ეს კარგად იცოდნენ, ჰგრძნობდნენ, რომ მათ თამაშობას უფრო მეტს მოსთხოვდა [illegible] და თითქმის ჰაერში იხმოდა [illegible].

დაუმატეთ დიდი უქმი სცენა. მერე კიდევ ყველასათვის ნაცნობი [illegible] თვისება-ნაკლულევანებანი, რეჟისორის სუსტი გავლენა, სცენარიუსის უკადრისობა და ადვილად მიხვდებით, რად იყო წარმოდგენილი ასე უგულოდ, უხეიროდ ეს პიესა, რად ეშვებოდა ისე წარა-მარა ფარდა, რაზედ აავერძებს ისე უდროოდ მეტეხის ციხე, ან რად მოაკლდეს ბოლო პიესას და მით შესამჩნევი ზიანი მიაყენეს წარმოდგენას.

ერთის სიტყვით, შერცხვენ იმ საღამოს ჩვენი მსახიობნი, შერცხვენ იმოდენა საზოგადოების წინაშე. მაგრამ როგორც ვთქვით, ეს შერცხვენა ადვილად ასახსნელი და გასასწორებელიც არის, თუ, რასაკვირველია, უფრო კარგად მოეკიდებიან თავისს მოვალეობას ყველანი: მსახიობი, რეჟისორი, სცენარიუსი, სუფლიორი, რომელიც იმ საღამოს ძლიერ იქცევდა ყურადღებას მოთამაშეთაგან. კარგი ოთარბეგი იყო ვ. გუნია, მეტადრე მესამე მოქმედებაში, როცა ზეინაბის ლაპარაკი უღვიძებს მიძინებულ გრძნობას სამშობლოს სიყვარულისას. ზეინაბს თამაშობდა ე. მესხი, რომელმაც სავსებით ვერ გაამართლა მოლოდინი საზოგადოებისა. მსახიობ ქალს პირველ ორ მოქმედებაში აღელვება ეტყობოდა, ჩქარობდა, სიტყვებს ყლაპავდა, და მხოლოდ მესამე მოქმედებაში შესძლო მეტი გრძნობიერების გამოჩენა, თუმცა დარწმუნებული ვართ, ერთი-ორად უკეთესად შესძლებს ამ საუცხოვო ადგილის გამოხატვას, რომლის მოქმედება მაყურებელზედ სწორედ რომ დამატყვევებელია.

კარგი ტიპიური ანანია იყო კ. ყიფიანი. სვიმონიძე ლამაზი დათო და შათირიშვილი კარგი ირაკლი იქნებოდა, მაგრამ, ჩვენის აზრით, ცოტა გადაჭარბებულად გადმოგვცა მისი სულიერი მდგომარეობა მეოთხე მოქმედებაში.

კარგი გაიანე იქნება ნ. დავითიშვილი, თუ მეტი სითამამე და გაბედულება გამოიჩინა. ვლ. მესხიშვილს ხმა ძრიელ უშლიდა და ამიტომაც მისი თამაშობა იმ საღამოს სუსტი იყო. კ. მესხის (ბესო) თამაშობას ნაძალადევობა აჩნდა. კარგი ისახარი იყო ელ. ჩერქეზიშვილი. გაუზვიადებლად, ბუნებრივად თამაშობდა მსახიობი ქალი და კარგად დაგვიხატა სულიერი მდგომარეობა საწყალის მოხუცისა, რომელიც დროთა ბრუნვას არარად გარდუქმნია. კარგარეთელი ლამაზი, მოხდენილი რუქაია იყო, მაგრამ ეგ ღირსება არა კმარა ჰარამხანაში გახრწნილ ქალის დასახატავად.

მოწყობილება წარმოდგენისა საუცხოვო იყო. იმედია, კვლავ მაინც გამართლდება მოლოდინი საზოგადოებისა, რომელიც საფუძვლიანი და ადვილად ასასრულებელია.

ქ. ყ ნი.

## წერილი

### რედაქციის მიმართ

(«ღალატის» წარმოდგენის თაობაზედ).

20-ს რიცხვს ქართველ მსახიობთა წარმოდგენამ სახელ განთქმული დრამის ,,ღალატის" ისეთი მწარე, უსიამოვნო და უხალისო შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზედ, რომ არ შეგვიძლია ჩვენი გულითადი უკმაყოფილება და საყვედური გაზეთის საშუალებით არ გამოვსთქვათ: ჩვენ მიგვაჩნია დიდ კადნიერებად და მთელი საზოგადოების უპატივცემულებად ის გარემოება, რომ ქართული დრამატიული დასის მსახიობებმა ასე აგდებულად, გულ გრილად და მოუფიქრებლად მოეპყრნენ ისეთს საქმეს, რომელიც იწვევს მთელი უცხო და შინაურის საზოგადოების განსაკუთრებულ ყურადღებას. ჩვენი დასის წევრებმა თავიანთი აჩქარებით და მოუფიქრებლობით სახელი გაუტეხეს ჩვენებურ სასცენო ხელოვნებას, ქართულ თეატრს და ქართველ საზოგადოებას. ქართული დრამატიული დასის წევრებმა თავიანთი ბავშური, აჩქარებული საქციელით საბუთი მისცა ყველა ჩვენი ეროვნების მოწინააღმდეგე, სასტიკად მსჯელ პირთ, რომ ჩვენ—ქართველები ყოველ საქმეში ქარაფშუტა-აჩქარებული ხალხი ვართ.

არ შეგვიძლია ჩვენი უკმაყოფილება და სულიერი აღშფოთება არ გამოვუცხადოთ დრამატიული საზოგადოების გამგეობას იმისათვის, რომ ასე აჩქარებულად, მოიქცა და დაუმზადებელი მსახიობები გამოუშვა სცენაზე ასეთი ძნელი და საყურადღებო დრამის წარმოსადგენად. გვეყოფა ამდენი ხათრი, თავაზიანობა და ნდობა!! დრო არის, თვით საზოგადოებამ დასდოს შესაფერი მსჯავრი ამნაირ საქციელს,

დამსწრენი.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 იანვარი

**პეტერბურგი.** პავლოვი ტავასტუსის გუბერნატორად დაინიშნა.—19 იანვრის

---

ბის თვალით ვაკვირდებოდი. მდიდარს მოვეწონე. გაჭირვებას და მწუხარებას მაინცა და მაინც ბევრი ვერაფერი დაეკლო ჩემი სილამაზისათვის. მოვეწონე, მომეწონა. კაი ხანს ვცხოვრობდით ერთად, ვიყავ ყოვლის მხრივ სრული კმაყოფილი. ის ხშირად სახლში არ იყო; ვმართავდი მთელ მის შემოსავალ-გასავალს. ამ ხანებში ჩემი ერთად ერთი ქალიშვილი მომწიფდა. რადგან სკოლაში არ მიმიცია, შინ ცოტა რამ ქართულ-რუსული ვასწავლე. რაც პირველ ქმრის ხელში შიმშილ-სიღარიბე გამოვსცადე, მეორე ქმრის ხელში სული მოვიდგი. დიდი შეძლების კაცი იყო, ყოველივე უხვად მქონდა. ჩემი მეზობლები შურის თვალით მიყურებდნენ, შემომნატროდნენ, მაგრამ ჩემს გულშიკი სულ სხვა ალი ტრიალებდა, ჩემს გულს სულ სხვა დარდი აწუხებდა. ამ აუარებელ სიმდიდრესთან, ერთი რამ დიდი, ძლიერ დიდი ნაკლი მქონდა. ჩემს საცხოვრებელს მემკვიდრე არ ჰყავდა. მე მასთან შვილი არ გამიჩნდა. ის შუა კაცობას გადასული იყო, აღარც მე ვიყავ ყმაწვილი და აი ამ გარემოებამ ჩამაგდო დარდსა და ვარამში: ჩემი ქრმის ამოდენა დოვლათი უნდა სხვას დარჩენიყო. დრო მიდიოდა. ქალიშვილი გასათხოვრად მეწიფდა. ჩემ ქმარს იჯარით ჰქონდა აღებული გზების კეთება. ამ საქმეში ძიელ ეხმარებოდა ახალგაზდა ინჟენერი პავლე პეტრეს-ძე სამხარაძე. ვინ იცის, ეგებ მოგებაში იმასაც წილი ედო, მაგრამ ეს ჩემთვის სრულიად საიდუმლო იყო. მ-ს ქება-დიდების მეტი ჩემ ქმრის პირიდან არასოდეს არაფერი არ ამოსულა. ხშირად მეტყოდა: „ინჟენრის შინ დაპატიჟება მინდა, შენ ხომ არ გეწყინებაო". პირველ ხანებში მე წინააღმდეგი ვიყავი, თუმცა-კი მისი გაცნობა მეც ხელს მაძლევდა. შინ გასათხოვარი ახალგაზდა, ის მაღალ სასწავლებელში კურს დამთავრებული, შეძლებული კაცი იყო. ახალგაზდობის დროს ხომ თვალი სჭრის, თვალი სჰამს. თვალ-ტანათ ჩემს ქალს ერთი მისი ტოლი ვერ შეედრებოდა. ვიფიქრე, ეგებ ბედმა გამიღიმოს, ძოეწონოს და ცოლათ შეირთოს მეთქი. დავეთანხმე ჩემს ქმარს. ერთ საღამოს ინჟენერი პავლე სამხარაძე ჩემს ოჯახში იჯდა და მუსაიფობდა. მის შეხედვას არა სჯობდა-რა. ჩემს ქალს იმ დღეს ვეღარ ვცნობდით. ისედაც მხიარული, ცელქი, სხარტი მოლაპარაკე, დღეს სულ ეხად გაიკრიჭა, სულიერ სიამოვნებისა გამო ლოყები ბროწეულივით აუწითლდა. მის ცქერას არა სჯობდა-რა. ეტყობოდა, სამხარაძესაც ძლიერ მოსწონდა, ოღონდ ერიდებოდა და ცდილობდა სიამოვნება პირის სახეზე არ აღბეჭდოდა. მაგრამ სიყვარულის დაფარვა ისევე მოუხერხებელია, როგორც ცეცხლის ალის უჩინარყოფა. სამხარაძე ჩვენს ოჯახში შინაური კაცი შეიქნა. ახალგაზდები ერთმანეთს დაუახლოვდნენ. ჩვენ ეჭვი აღარ გვქონდა მათ ცოლქმრობაზე. სამხარაძეს ოჯახურ საიდუმლოს აღარ ვუმალავდით. შეიტყო ჩვენი მწუხარება უშვილობის გამო. ერთის სიტყვით, სამხარაძე მთლად ჩავახედეთ ჩვენს სულსა და გულში.

ერთხელ დილას, ჯერ კარგად გათენებულიც არ იყო, ჩემთან ოთახში მრეცხავი ქალი შემოვიდა, სახე-დაღვრემილი, ფიქრებით გატაცებული თავზე დამადგა. ჩემი ქმარი შინ არ იყო. ჩემი მრეცხავის უდროვოთ შემოსვლამ, ცოტა არ იყოს, გამაკვირა. ვკითხე:

— სად ყოფილხარ ქალო, ასე ადრე, აგე უთენია?

— თქვენთან გ-ახელით, ქალბატონო! მსურს წყლული გულის ნადები გადმოგცეთ და მით თავი ვინუგეშო. ვიცი, ჩემს მდგომარეობაში შეხვალ და რაიმე გზაზე დამაყენებ.

— რა ამბავია, მარინე, ქმარ-შვილი ხომ კარგათ გყავს?—ვკითხე და ჩავაშტერდი. თვალები მოწამული ჰქონდა, წამწამებზე ცრემლის წვეთები უციმციმებდა.

— ნეტავ მალე მენახოს მარინეს კუბო, ქალბატონო!

— მითხარ, რაშია საქმე?

— კიდევ ორსულად ვარ, ქალბატონო! შვიდი ქალ-ვაჟი შიმშილით მეხოცება, მერვე მჭამელი უნდა მომემატოს.

— მერე, რამ შეგაშინა, შე ბედშავო!—გავამხნევე, მაგრამ ის მაინც თავისას არ იშლიდა და გულ-შეწუხებულათ წუწუნებდა. კაი ხანს ვიყავით გაჩუმებული.

— ქალბატონო?!—უცებ წამოიძახა.

— რა გინდა?

— არაფერი... და პირი კედლისაკენ მიიქცია.

— მითხარ, ნუ გრცხვენია, რა გაქვს სათქმელი?!

— სათქმელი ბევრი, ძლიერ ბევრი მაქვს, ქალბატონო, მაგრამ... სთქვა და ისევ შეჩერდა.

— მაგრამ რა?!

— ის, რომ... ვერ გამიბედნია...

— რატომ, ვისი გეშინია? აქ ხომ ჩვენს მეტი არავინ არის, სთქვი, შე საცოდავო, სთქვი! ავდექი, ხელი მოვკიდე და ჩემსკენ მოვაბრუნე.

— ქალბატონო. ძლიერ მიძიმს ამის თქმა, მაგრამ გთხოვთ, ეს საიდუმლო მარტო ჩვენს შორის დარჩეს. სულ ერთი თვის ორსული არ ვიქნები, შინ ვიჯექი, მწარე ფიქრებმა შორს გამიტაცა. დიდ ხანს ოცნების სივრცეში ხეტიალმა ერთი საოცნებო აზრი ჩამისახა თავში. მსურს ეს აზრი თქვენ გაგიზიაროთ. მოგეწონებათ, მიიღეთ. არ მოგეწონებათ, ჩვენს შორის საიდუმლოდ დარჩეს. თქვენ მემკვიდრე არა გყავთ და იქნება... არც გეყოლებათ,—განაგრძო მარინემ. მე ეს ბავშვი მაინც სხვას უნდა მივუგდო. თქვენი ამდენი ავლა-დიდება, ვინ იცის, ვის უნდა ჩაუვარდეს ხელში. მე მოხერხებული ბებია ქალი მყავს. თუ თქვენც დამეთანხმებით, მოიქეცით ისე, როგორც გასწავლოთ. თქვენ დღეიდგან ორსულობა მოიგონეთ ისე-კი, რომ არავინ შეგატყოს. როცა მე მეცხრე თვეში ჩავდგები — თქვენც ლოგინში ჩაწექით. მე ხომ აქვე, თქვენი სახლის ახლო ვცხოვრობ. ავად გავხდები, თუ არა—გაცნობებთ და თქვენც ავად გახდით. მოვრჩები—ახალ დაბადებულს ღამე ბებია თქვენ მოგგვრისთ და თქვენც საკუთარ ქალად გამოაცხადეთ...

— მარინე? ხომ არ გაგიჟდი, მაგას რას ამბობ, ეგ როგორ შეიძლება, შეგვიტყობენ,—თავი მოგვეჭრება?!

— არა, ქალბატონო! თქვენ ოღონდ დამეთანხმეთ და ამ საქმეს მე ვღებულობ ჩემს თავზე.

კიდევ ეჭვის თვალით გადავხედე, თუმცა-კი ჩემს გულში მაშინვე დაბინავდა ეს ბოროტი აზრი და მის განხორციელებას იმ დღიდგან შევუდექი.

თუ რანაირად მოვახერხეთ ეს საქმე, მის ისტორია შორს წაგვიყვანს, მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ ჩემი ქმრის ზღვა სიმდიდრეს მემკვიდრე გავუჩინე. ყველა მილოცავდა, ყველა ჩემ მოკეთეს უხაროდა, მხიარულობდა. ხოლო მტრებს არ ეძინათ. მათი შხამით სავსე სიტყვები, თუმც გულზე ლახვარივით მხვდებოდა, მაგრამ იმათ გულის გასახეთქად—არ ვიმჩნევდი. ბავშვი ჩემს სახელზე მოვნათლე, ჩემი გვარი მივეცი და, როგორც ნამდვილი მემკვიდრე, ყველგან არხეინად დამქონდა.

ყმაწვილი დღითი დღე იზრდებოდა, მშვენდებოდა. ავის თვალით არ ინახვიდა. ერთის მხრივ ბედნიერი ვიყავი, მაგრამ ბედნიერებას ხომ ყოველთვის უბედურებაც მუდამ უკან მისდევს. ჩემ ბედნიერებას უბედურება გადაეღობა. ახალგაზდების დაახლოვებამ ცუდი შედეგი მოგვიტანა. ჩემი ქალიშვილი ფეხ-მძიმეთ შეიქნა და ინჟენერი სამხარაძე-კი სადღაც მიგვემალა.

ჩვენს მწუხარებას საზღვარი აღარ ჰქონდა. ორივე დედა-შვილი ვსტიროდით, ლოყებს ვიწიწკნიდით, მაგრამ ნუგეშს ვერსაიდგან ვერ ვხედავდით.

ბავშვი კიდევაც დაიბადა. იმ წამსვე საიდუმლოდ სხვაგან გავაპარეთ, სხვას მივუგდეთ. ჩვენ კი პროკურორს თხოვნა მივართვით, ჩვენი პატიოსნების ამხდელის დასჯა ვითხოვეთ. მაგრამ, ოჰ, ულმობელო ცხოვრების ჩარხის ტრიალო! რამდენჯერ შესულხარ ასეთ მომაკვდავ ცოდვებში?! სიმართლე სირცხვილისაგან ვერ დაგიხსნია და ბოროტება ჭეშმარიტებაზე გაგიმეფებია?!

ინჟინერმა სამხარაძემ სასამართლოში საქმე კარგად მოაწყო: თვითონ გაიმართლა და ჩვენ ქვეყანაში თავმოჭრილი, ნამუსს ახდილი შევიქენით. სამხარაძემ ეს აღარ იკმარა. თავის შერცხვენისათვის შურის ძიება დაიწყო. ენით გამოუთქმელი ბოროტ-მოქმედება ჩაიდინა: თვითონ რომ ვეღარ გამოჩნდა, ეს საბრალო მრეცხველი ქალი შეაცდინა, ფულებით მოისყიდა და ჩემზე პირდაპირი საჩივარი შეატანია: მიჩიოდა შვილის წართმევას და მითვისებას.. გამოძიებამ ყველაფერი ახსნა.

სასამართლომ ღირსება-უფლებანი ჩამომართვა და წელიწად ნახევარი სატუსაღოში ყოფნა გადამიწყვიტა. ბედკრულმა ჩემმა ცხოვრების ვარსკლავმა ასე ბნელის გზით მატარა და ამ სატუსაღოს კარებამდის მომიყვანა...

სვინიდისზე ხელაღებულმა ყმაწვილმა კაცმა საბრალო არსებას ნამუსი აჰხადა. საბრალო ბავშვს-კი ცხოვრების საღსარი მოუსპო და მშიერ-მწყურვალი, დიდებულ მემკვიდრეობას დაშორებული, თავის ღარიბ ღატაკ მშობლებს მიუგდო.

— ღმერთო! ყოვლად მოწყალე სახიერო! შენ ჰკითხე სამხარაძეს ჩვენის გათახსირებისათვის, ჩვენი ამ გვარ მდგომარეობაში ჩაყენებისათვის?!... სთქვა ეს და ცხარე ცრემლები თვალებიდგან ნაკადულის მგზავსად წამოუვიდა.

ამ დროს სატუსაღოს პატარა ეზოში ზარის ხმა გაისმა და სხვასთან ერთად სატუსაღოს ოთახში ელისაბედ თოხაძის ქალიც მსწრაფლ წაიყვანეს..

თეოფ. ხუსკივაძე.

საზღვარო სასახლეში მათ უდიდებულესობათ პირველი დიდი ბალი ჰქონდათ.

**ხაბაროვსკი**. სამოქალაქო აგენტები როგორც-კი საკმაოდ გაეცნობებიან რეფორმათა შემოღების საქმესა და დაამზადებენ იმდენად, რომ აღსრულებაში მოიყვანონ, პირობით შეკრულ სახელმწიფოთა ელჩნი იზრუნებენ, რომ დამოკიდებულება რეფორმათა უმთავრესის ინსპექტორის ხილმი-ფაშისა ილდიზ-კიოსკისა და პორტისაგან შესაფერად შესუსტდეს.

**ტოკიო**. მოხდა მინ-სტრთა თათბირი, რომელმაც რვა საათს გასტანა.—იუწყებიან, შვიდი რუსის პოლკი იალუზე მიდიან, რომ დაიჭირონ ანდუნი და ზოგიერთი სხვა ადგილები ამ მდინარის სამხრეთ ნაპირზე; იქ უკვე რამდენიმე რაზმია.

**ათინა**. მინისტრ-პრეზიდენტმა ტეოტოკისმა დეპუტატთა პალატას თავის კაბინეტის პროგრამმა მოახსენა, ერთი უმთავრესი მუხლი არის მხედრობის რეორგანიზაცია. ამისათვის ახალს ხარჯებს შემოიღებენ.

**რომი**. დეპუტატთა პალატა. პასუხად იმისა, თურმე მოხდა ცეცხლი ტურინში უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, საერო განათლების მინისტრმა განაცხადა, რომ 1500 ხელთნაწერთაგან 1000 გადაარჩინეს. უფრო ძვირფასი ხელთნაწერთაგანნი გადარჩა. ცეცხლის გაჩენის მიზეზი ჯერ არ არის გამოკვლეული.

**პეკინი**. იუნშიკაიმ შტაბის უფროსობას თავი დაანება, რადგან მოხელეები მის აზრებისა მხედრობის გადაკეთების შესახებ წინააღმდეგნი იყვნენ. მაგრამ ჩჟილიის გენერალ-გუბერნატორად მაინც დასტოვეს.

**ვლადივოსტოკი**. რეიდზე მდგომი გემები „გრომობოი“, „როსსია“, „ბოგატირი“, „რიურიკი“ და „ლენა“ შეერთდნენ ომში გასასვლელად, ყოველი ხის ნაწილები მოაშორეს გემებს; გემები მზად არიან დაუყოვნებლივ გაიდნენ.

**ლონდონი**. მინისტრ-პრეზიდენტი ბალფური ინფლუენციით გახდა ავად.

21 იანვარი.

**პეტერბურგი**. შავი ჭირი სრულიად მოისპო ალექსანდრე I-ის ფორტში.

**ვლადივოსტოკი**. „ვოსტოჩნი ვესტნიკი“ იუწყება, რომ სეულ ფუზანის რკინის გზა დაიჭირა იაპონიის სადარაჯო რაზმმა. იაპონიის მისიის დასაცველად სეულში რამდენიმე ზარბაზანი მიიტანეს. აგებენ მენობას კავალერიის მოსათავსებლად. კორეის მთავრობა ამცირებს სამინისტროების შტატებს; პირველადვე გაუქმებული იქმნა მიწად-მოქმედების დეპარტამენტი.

**სოფია**. (ოპოზიციის მომხრეთაგან). ბოლგარიის გაზეთებს მაინც კიდევ მოსდით უსიამოვნო ამბები, რომ ოსმალთა სადარაჯონი გაძლიერებულ იქმნენ და ჯარები გამრავლებულიო. საქმის ვითარების კარგად მცოდნენი ამტკიცებენ, რომ ეს ამბები გაზვიადებულიაო.

**სინგაპური**. („რეიტერ-ს სააგენტო“). მოვიდა იაპონიის საბრძოლო გემი „ნისსინ“. „კასუგას“ ხვალ ელიან.

**ლონდონი**. დღეს დაიწყო კრება პარლამენტისა. სეფე-სიტყვაში ნათქვამია, რომ ინგლისისა და სხვა დიდ სახელმწიფოთა ურთიერთობა წინანდელებრ რიგზეაო. მოხსენებულია, რომ საფრანგეთთან მორიგება მოხერხდაო. იმედია, თუ ვინიცობაა, საერთაშორისო დავა რამ ატყდა, მივმართავთ სამედიატორო სასამართლოსაო. ამასთანავე მოსარიგებლად მოლაპარაკება გვაქვს ახლ. იტალიასთანა და ნიდერლანდებთანაო. სეფე—სიტყვაში განსაკუთრებულის ყურადღების მიქცევით არის აღნიშნული, რომ ინგლისის მთავრობა სიხარულით ეცდება მშვიდობით გადასწყდეს დღევანდელი დავა რუსეთისა და იაპონიას შორისო. თიბეთის საქმისა ის არის ნათქვამი, რომ ჩინეთის მთავრობის დახმარებით თიბეთს იქმნა გაგზავნილი საპოლიტიკო მისსია, რომელსაც აზრად ჰქონდა უზრუნველ ეყო ჯეროვანი აღსრულება სიქქიმისა და თიბეთის შესახები 1890 წლის მორიგებისა. პეკინიდან გაიგზავნა ჩინელი მოხელე იმ აზრით, რომ მისსიის მხარე დაეჭირა. იმედია,—ამბობს ბოლოს სეფე-სიტყვა,—რომ მოვურიგდებით ჩინეთისა და თიბეთის მთავრობას და ეს მორიგება მოსპობს მიზეზს მუდმივის უთანხმოებისასა და დავიდარაბისას ინდოეთის ჩრდილო სამზღვარზედ.

**ლონდონი**. აქ მყოფმა იაპონიის მოხელე კაცმა, რომელმაც იცის ყოველივე წვლილი მოლაპარაკებისა, აცნობა „რეიტერის სააგენტოს“, რომ რუსეთის პასუხის დაგვიანების მიზეზი ის-კი არ უნდა იყოს, ვითომ რუსეთს უნდოდეს დრო მოიგოს და მოემზადოს საომრად, არამედ ის, რომ რუსეთი მართლა სცდილობს მოსპოს უსიამოვნება და დავა ბრძნულისა და კეთილ-მეზობლურის ღონისძიებითაო.

### პეტერბურგის ბირჟა

21 იანვარი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,15 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,90 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | 37,72 1/2 |
| ბირჟის დისკონტი | 5—6 1/2 % |
| 4% სახელმწიფო რენტა | 96 გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 95 1/8 მყ. |
| 5% პირ. შინაგ.მომგ. ბილ. 1864 წ. | — |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 312 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | 261 გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4 1/2% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა. | — |
| 4 1/2% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | 192 1/4 |
| 6% ქუთ. საად მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | 91 გაყ. |

### რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოქტომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

**ბათომს**: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 6 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

**ბაქოს**: 1) შუადღის 1 ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამ-ცაბათობით).

**ყარს-ერევანს**: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2) ღამის 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

**ტფილის-ბაქოსაკენ**: 1) დილის 9 ს. 32 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

**ტფილის-ბათომისაკენ**: 1) შუადღის 1 ს. 48 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს. 58 წ.

დ) ქუთაისიდან:

**ბათომისაკენ**: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

**ტფილის-ბაქოსაკენ**: ღამის 3 ს. 58 წ.

ე) შორაპნიდან:

**ჭიათურა-დარკვეთისაკენ**: 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

**შორაპნისაკენ**: 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.


# განცხადებანი

## ფული

ადვილად და პატიოსნურად იშოვის თვეში 400 მანეთს. არც დიდი ცოდნაა საჭირო და არც ხარჯი, მხოლოდ ჩქარა გამოგზავნეთ თქვენი

ადრესი: U. 111 an das Annoncen-Bureau des Merkur in Mannheim Meerfeldstrasse, 44.

(50—49)

ქუთაისში

ს. ბ. თოფურიას

## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებისნით და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა სმისა და მკურნალობისათვის 1 მანეთიდან 3 მანეთამდე.

## ВОКРУГЪ СВѢТА.

ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛЪ.

ВСѢ ПОДПИСАВШІЕСЯ НА 1904 ГОДЪ ПОЛУЧАТЪ:

**50** №№ художественно-литературнаго журнала. Романы — Повѣсти. — Путешествія. — Иллюстраціи. — 1.200 столбцовъ текста.

ПОЛЕЗНЫЯ СВѢДѢНІЯ по общедоступной медицинѣ и гигіенѣ. — По техникѣ. — По домашнему хозяйству. — По садоводству, цвѣтоводству и огородничеству. — Игры и забавы. — Иллюстраціи.

**12** ВЫПУСКОВЪ МОДНАГО ЖУРНАЛА.

**12** ВЫПУСКОВЪ ВЫШИВОКЪ И ВЫПИЛИВАНІЙ.

**16** КНИГЪ ИЛЛЮСТРИРОВАННАГО СОБРАНІЯ СОЧИНЕНІЙ ВАЛЬТЕРА СКОТТА.

**8** КНИГЪ ИЛЛЮСТРИРОВАННАГО СОБРАНІЯ СОЧИНЕНІЙ ПИСАТЕЛЯ КОНАНЪ-ДОЙЛЯ.

БОЛЬШОЙ ТОМЪ ВЪ 320 СТРАНИЦЪ БОГАТО ИЛЛЮСТРИРОВАННОЙ ИСТОРІИ ЦАРСТВОВАНІЯ ИМПЕРАТОРА АЛЕКСАНДРА II, со множествомъ портретовъ и рисунковъ.

ОСВОБОЖДЕНІЕ КРЕСТЬЯНЪ. Картина акад. Н. В. ЛЕБЕДЕВА, размѣромъ 17×24 вершка.

ЦѢНА на годъ съ доставкой и пересылкой **4 р.** То же съ картиной **5 р.** Разсрочка: при подпискѣ 2 р. къ 1 апрѣля 1 р. къ 1 іюля 1 р.

Адресъ: Москва, Петровка, д. Грачева, № 21, редакція журнала „Вокругъ Свѣта“.

Журналъ издается Т-вомъ И. Д. Сытина.




გამოვიდა და იყიდება ყველგან „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამოცემული საქართველოს

## კალენდარი

ვ. გუნიასი

რედაქცია ფ. გოგიჩაიშვილისა.

კალენდარში მოთავსებულია სრულიად ახლად შესწორებული შემდეგი განყოფილებანი: 1. საეკლესიო კალენდარი, 2. ცა და დედამიწა ასტრონომიულ-გეოგრაფიული ცნობები. 3. სახელმწიფოთა მაჩვენებელი, 4 კავკასია და საქართველო, 5. ფოსტა, ტელეგრაფი, ტელეფონი რკინის გზა, გემების მიმოსვლა, 6. იურიდიული ცნობები, 7. წონა, ზომა, საწყაო და სხ., 8. სამეურნეო და საექიმო ცნობები, 9. სალიტერატურო განყოფილება, 10. ცრული საცნობო კალენდარი.—კალენდარში დაბეჭდილი, სხვათა შორის, შემდეგი წერილები: ა) სარწმუნოება საქართველოში, მ. ჯანაშვილისა, ბ) ცა და დედამიწა, X-ისა, გ) სახელმწიფოთა მართვა-გამგეობის ფორმები, დ) საქართველოს მართვა-გამგეობა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, ე) ქართული მწერლობა, ზ. უმიკაშვილისა, ვ) ენა და ერი, ზ. სურგულაძისა და სხვ.

კალენდარი დასურათებულია მრავალი სურათით. კალენდარი შეიცავს 800-მდე გვერდს. ფასი ერთი მანეთი.

გამოვიდა და იყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

## ჭაჭანა

2.

## ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распрстр. грамотности.

მსწრაფლ მბეჭდავი

## სტამბა

ექვთიმე ივ. ხელაძისა,

რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხის სასულიერო სემინარიის სახლებში;

იღებს ყველა-ნაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ყველა უცხო ენებზედაც.

სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებული ყველა დავთრები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების დავთრები.

ფასი ყველასთვის ხელმისაწდომია.

ს.-პეტერბურგის კომპანია

## „ნადეჟდა“

ღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

### დაარსებულია 1847 წელს

| | |
|---|---|
| **ძირითადი თანხა** | 1.650.000 მან. |
| **სათადარიგო თანხა** | 2.664.808 მან. |

დაზღვევის ოპერაციები.

ა) დაზღვევა საქონლის, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვით ..არხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა ყოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემების, ბირჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზე მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას ასრულებს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. საერთოდ სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებს 350-მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

ტვოსგამგება ს.-პეტერბურგის კომპანიის ნადეჟდას„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისკი პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლში, განოვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6.—10)

მიიღება ხელის-მოწერა 1904 წლისათვის ორ-კვირეულ გამოცემათა ქართულს

## „მწყემსი“-ზე

და

რუსულ „ПАСТЫРЬ“-ზე

XIX

ჟურნალის ფასი:

| | |
|---|---|
| 12 თვით „მწყემსი“ 3 მ. | ორივე გამოცემა . 5 მ. |
| სამკურნალო ფურცლის დამატებით . . 4 მ. | 6 თვით „მწყემსი“ . 2 მ. |
| რუსული . . 3 მ. | რუსული . . 2 მ. |
| | ორივე გამოცემა . 3 მ. |

გაზეთზე ხელის მოწერა შეიძლება დაბა ყვირილაში რედაქციაში, ქუთაისში მინ ესტატე ღამბაშიძესთან, ტფილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ-ნ შიო ქუჩუკაშვილთან. ახალსენაკში—ბლალოჩინ პამა არ. კალანდარაშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა **სამ მანეთად**.

რედაქცია იმყოფება დაბა **ყვირილაში** რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიანთ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и „ПАСТЫРЬ“.

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ორ მანეთად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოვება აგრეთვე სხვა-და-სხვა სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კატალოგი დრო-გამოშვებით ჟურნალშიაც იბეჭდება და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქციიდან.

## მიიღება ხელის მოწერა

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი „კვალი“ მეთორმეტე

გამოვა 1904 წელსაც

ყოველ კვირა დღეს ერთიდან სამ თაბახამდე.

გაზეთის ფასი

| | |
|---|---|
| ტფილისში: ერთი წლით ღირს 7 მ., ნახევარი წლით—3 მან. 50 კ., სამი თვით—2 მან. თითო ნომერი—15 კ. | ტფილისს გარეთ: ერთი წლით ღირს 8 მ., ნახევარი წლით—4 მ., სამი თვით—2 მან, თითო ნომერი—15 კაპ. |

ხელის მომწერლებს შეუძლიათ წლის ფული ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანონ

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში—„წერა კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა), რკინისგზის სადგურზე პირველი კლასის ბუფეტში, ესტ. ჩხარტიშვილთან და თვით „კვალის“ რედაქციაში (რუსის ბაზარი, საეკლესიო სახლში).

ტფილისს გარეთ:

ქუთაისში—მიტროფანე ლალიძესთან, ვ. ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიაში და ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში; ბათომში—სპირიდონ ჭელიძის წიგნის მაღაზიაში; ოზურგეთში და ახალ-სენაკში—კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში; ჭიათურაში—კალისტრატე ჭიჭინაძესთან და კარპე მოდებაძესთან; ყვირილაში—ივანე არდიშვილთან; დაბა ხონში—სახალხო სამკითხველოში, ძველ-სენაკში—არსენ წითლიძესთან; ოზურგეთში—დომენტი შავიშვილთან; საბუნჩაში (ბაქო)—პეტრე მაჭავარიანთან.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ხელის მომწერლებს თავიანთ ადრესები გარკვეულად დაწერილი გამოგზავნონ.

ადრესის გამოცვლა ტფილისს გარედ ღირს 40 კ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція „КВАЛИ“.